შპს „აგროჰაბი“

ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დეკემბერი 2020
თბილისი

შპს „აგროჰაბი“

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
განმარტებითი შენიშვნები	8
დასკვნის ბოლო გვერდი	**27**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აგროჰაბის“ მფლობელს და ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

არამოდიფიცირებული მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს-ის “აგროჰაბი” ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ანგარიშგება შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს-ს “აგროჰაბი” ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS) შესაბამისად.

არამოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოდიფიცირებული მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამატებითი ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია დამატებით ინფორმაციაზე. დამატებითი ინფორმაცია შედგება მმართველობის ანგარიშგებისგან, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად (თუმცა, არ მოიცავს ამ ფინანსურ ინფორმაციასა და ჩვენს აუდიტის დასკვნას), რომლებიც სავარაუდოა, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება ამ აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება არ ვრცელდება დამატებით ინფორმაციაზე, მათ შორის, მმართველობის ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ზემოთ ხსენებული დამატებითი ინფორმაციის გაცნობას მას შემდეგ, რაც ეს ხელმისაწვდომი გახდება ჩვენთვის, და განხილვას, შესაძლებელია თუ არა, რომ ინფორმაცია იყოს არსებითად არასწორი ან არსებობს თუ არა არსებითი შეუსაბამობა დამატებით ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებებს ან აუდიტის ჩატარებისას ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციას შორის. ამასთან, ვალდებულები ვართ გამოვხატოთ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების გარკვეული მუხლების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ და შევაფასოთ, რამდენად მოიცავს მმართველობის

ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური ცდომილების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISAs-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISAs-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებთ და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის არამოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილი.

16, დეკემბერი 2020 წ.

თბილისი, საქართველო

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებთ და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის არამოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილი.

16, დეკემბერი 2020 წ.

თბილისი, საქართველო

რასელ ბედფორდ აიეიესი
205236840
RUSSELL BEDFORD AAC LTD

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენ.	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	39,199,084	15,993,856
ბიოლოგიური აქტივი	5	81,449	105,504
არამატერიალური აქტივები	5	191,314	88,701
სულ გრძელვადიანი აქტივები		39,471,847	16,188,061
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	8,337,332	4,905,281
წინასწარ გადახდილი ხარჯები	8	449,361	452,254
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7	4,943,437	2,314,832
გაცემული სესხები	9	1,355,678	3,107,122
ფული და ექვივალენტები	10	3,308,679	1,957,801
სულ მიმდინარე აქტივები		18,394,487	12,737,290
სულ აქტივები		57,866,334	28,925,351
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	12,282,559	5,266,299
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	11	151,363	64,330
მიღებული ავანსები		183,558	4,749
მოკლევადიანი სესხები	12	1,905,839	5,764,460
საპროცენტო ვალდებულებები	11	370,233	347,399
სულ მიმდინარე ვალდებულებები		14,893,552	11,447,237
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	13	25,908,776	13,712,450
საიჯარო ვალდებულებები	13	10,199,878	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		36,108,654	13,712,450
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	500,000	500,000
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	14	32,649	19,209
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	14	3,246,455	(475,105)
მიმდინარე პერიოდის მოგება / (ზარალი)	14	3,085,024	3,721,560
სულ კაპიტალი		6,864,128	3,765,664
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		57,866,334	28,925,351

ხელმომწერი პირები:

დირექტორი: **ფინანსური მენეჯერი:**

16 დეკემბერი 2020 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-33 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	**2019 წელი**	**2018 წელი**
შემოსავალი რეალიზაციიდან	**15**	81,270,181	45,274,728
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	**16**	(70,851,507)	(36,947,770)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი		10,418,674	8,326,958
საოპერაციო ხარჯები			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**16**	(5,885,153)	(4,052,837)
საპროცენტო შემოსავლები	**15**	236,207	282,271
საპროცენტო ხარჯები	**16**	(1,061,051)	(535,286)
ფინანსური ხარჯები	**16**	(713,886)	(403,015)
სულ საოპერაციო ხარჯები		(7,423,883)	(4,708,867)
არასაოპერაციო შემოსავლები	**15**	1,265,050	592,290
არასაოპერაციო ხარჯები		(109,869)	(6,106)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		4,149,972	4,204,275
მოგების გადასახადი		(23,028)	(129,608)
წმინდა მოგება		4,126,944	4,074,667
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		(1,041,920)	(353,107)
სრული შემოსავალი / (ხარჯი)		3,085,024	3,721,560

ხელმომწერი პირები:

დირექტორი: **ფინანსური მენეჯერი:**

16 დეკემბერი 2020 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-33 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	**აკუმულირებული (ზარალი) /მოგება**	**ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი**	**სულ**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**12,384,941**	**(475,106)**	**18,109**	**11,927,944**
საწესდო კაპიტალი	(11,884,941)	-	-	(11,884,941)
პერიოდის შედეგი	-	3,721,560	-	3,721,560
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	-	-	1,101	1,101
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**500,000**	**3,246,454**	**19,210**	**3,765,664**
საწესდო კაპიტალი	-	-	-	-
პერიოდის შედეგი	-	3,085,024	-	3,085,024
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	-	-	13,440	13,440
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**500,000**	**6,331,478**	**32,650**	**6,864,128**

ხელმომწერი პირები:

დირექტორი: **ფინანსური მენეჯერი:**

16 დეკემბერი 2020 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-33 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერი

	2019 წელი	2018 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	4,149,972	4,204,275
კორექტირება:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	2,476,386	990,768
მოგების გადასახადის ხარჯი	(23,028)	(129,608)
წმინდა (ზარალი) /სარგებელი გაცვლითი კურსის სხვაობიდან	(1,041,920)	(353,107)
	5,561,410	**5,065,435**
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობაში	(3,432,051)	(1,652,270)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	(2,628,605)	(593,945)
(ზრდა)/შემცირება საწარმოს პერსონალის მიმართ მოთხოვნებში	-	36,169
(ზრდა)/შემცირება საგადასახადო აქტივებში	2,893	(144,514)
ზრდა/(შემცირება) მიღებულ ავასნებში	178,809	579
ზრდა/(შემცირება) ძირითადი საშუალებეის გადაფასების რეზერვში	13,440	1,100
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	7,016,260	1,117,692
ზრდა/(შემცირება) გრძელვადიან ვალდებულებებში	10,199,878	-
(ზრდა)/შემცირება სხვა მოთხოვნებში	109,867	(270,565)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	**17,021,901**	**3,559,681**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(25,656,770)	(2,034,462)
ბიოლოგიური აქტივების შეძენა	24,054	(23,460)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(127,455)	(19,215)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	**(25,760,171)**	**(2,077,137)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
(ზრდა)/შემცირება მიღებულ სესხებში	8,337,705	14,249,764
(ზრდა)/შემცირება წმინდა გაცემულ სესხებში	1,751,444	(2,783,094)
გადახდილი დივიდენდი	-	-
კაპიტალის შევსება/(შემცირება)	-	(11,884,941)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	**10,089,149**	**(418,271)**
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	**1,350,879**	**1,064,273**
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	***1,957,801***	***893,528***
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**3,308,679**	**1,957,801**

ხელმომწერი პირები:

დირექტორი: **ფინანსური მენეჯერი:**

16 დეკემბერი 2020 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-33 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენ.	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	39,199,084	15,993,856
ბიოლოგიური აქტივი	5	81,449	105,504
არამატერიალური აქტივები	5	191,314	88,701
სულ გრძელვადიანი აქტივები		39,471,847	16,188,061
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	8,337,332	4,905,281
წინასწარ გადახდილი ხარჯები	8	449,361	452,254
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7	4,943,437	2,314,832
გაცემული სესხები	9	1,355,678	3,107,122
ფული და ექვივალენტები	10	3,308,679	1,957,801
სულ მიმდინარე აქტივები		18,394,487	12,737,290
სულ აქტივები		57,866,334	28,925,351
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	12,282,559	5,266,299
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	11	151,363	64,330
მიღებული ავანსები		183,558	4,749
მოკლევადიანი სესხები	12	1,905,839	5,764,460
საპროცენტო ვალდებულებები	11	370,233	347,399
სულ მიმდინარე ვალდებულებები		14,893,552	11,447,237
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	13	25,908,776	13,712,450
საიჯარო ვალდებულებები	13	10,199,878	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		36,108,654	13,712,450
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	500,000	500,000
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	14	32,649	19,209
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	14	3,246,455	(475,105)
მიმდინარე პერიოდის მოგება / (ზარალი)	14	3,085,024	3,721,560
სულ კაპიტალი		6,864,128	3,765,664
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		57,866,334	28,925,351

ხელმომწერი პირები:

დირექტორი: **ფინანსური მენეჯერი:**

16 დეკემბერი 2020 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-33 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული (ზარალი) /მოგება	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**12,384,941**	**(475,106)**	**18,109**	**11,927,944**
საწესდო კაპიტალი	(11,884,941)	-	-	(11,884,941)
პერიოდის შედეგი	-	3,721,560	-	3,721,560
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	-	-	1,101	1,101
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**500,000**	**3,246,454**	**19,210**	**3,765,664**
საწესდო კაპიტალი	-	-	-	-
პერიოდის შედეგი	-	3,085,024	-	3,085,024
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	-	-	13,440	13,440
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**500,000**	**6,331,478**	**32,650**	**6,864,128**

ხელმომწერი პირები:

დირექტორი: **ფინანსური მენეჯერი:**

16 დეკემბერი 2020 წ.
თბილისი, საქართვლო

შენიშვნები გვერდებზე 8-33 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	15	81,270,181	45,274,728
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	16	(70,851,507)	(36,947,770)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი		10,418,674	8,326,958
საოპერაციო ხარჯები			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(5,885,153)	(4,052,837)
საპროცენტო შემოსავლები	15	236,207	282,271
საპროცენტო ხარჯები	16	(1,061,051)	(535,286)
ფინანსური ხარჯები	16	(713,886)	(403,015)
სულ საოპერაციო ხარჯები		(7,423,883)	(4,708,867)
არასაოპერაციო შემოსავლები	15	1,265,050	592,290
არასაოპერაციო ხარჯები		(109,869)	(6,106)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		4,149,972	4,204,275
მოგების გადასახადი		(23,028)	(129,608)
წმინდა მოგება		4,126,944	4,074,667
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		(1,041,920)	(353,107)
სრული შემოსავალი / (ხარჯი)		3,085,024	3,721,560

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

16 დეკემბერი 2020 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-33 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერი

	2019 წელი	2018 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	4,149,972	4,204,275
კორექტირება:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	2,476,386	990,768
მოგების გადასახადის ხარჯი	(23,028)	(129,608)
წმინდა (ზარალი) /სარგებელი გაცვლითი კურსის სხვაობიდან	(1,041,920)	(353,107)
	5,561,410	**5,065,435**
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობაში	(3,432,051)	(1,652,270)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	(2,628,605)	(593,945)
(ზრდა)/შემცირება საწარმოს პერსონალის მიმართ მოთხოვნებში	-	36,169
(ზრდა)/შემცირება საგადასახადო აქტივებში	2,893	(144,514)
ზრდა/(შემცირება) მიღებულ ავასნებში	178,809	579
ზრდა/(შემცირება) ძირითადი საშუალებეის გადაფასების რეზერვში	13,440	1,100
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	7,016,260	1,117,692
ზრდა/(შემცირება) გრძელვადიან ვალდებულებებში	10,199,878	-
(ზრდა)/შემცირება სხვა მოთხოვნებში	109,867	(270,565)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	**17,021,901**	**3,559,681**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(25,656,770)	(2,034,462)
ბიოლოგიური აქტივების შეძენა	24,054	(23,460)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(127,455)	(19,215)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	**(25,760,171)**	**(2,077,137)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
(ზრდა)/შემცირება მიღებულ სესხებში	8,337,705	14,249,764
(ზრდა)/შემცირება წმინდა გაცემულ სესხებში	1,751,444	(2,783,094)
გადახდილი დივიდენდი	-	-
კაპიტალის შევსება/(შემცირება)	-	(11,884,941)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	**10,089,149**	**(418,271)**
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	***1,350,879***	***1,064,273***
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	***1,957,801***	***893,528***
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**3,308,679**	**1,957,801**

ხელმომწერი პირები:

დირექტორი: **ფინანსური მენეჯერი:**

16 დეკემბერი 2020 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-33 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

1. შესავალი

ზოგადი ინფორმაცია

შპს „აგროჰაბი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობების შესაბამისად. რეგისტრაციის და ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისი რაიონი, კრწანისის ქ.,

№8, კორპუსი 2, მე-2 სართული, ბინა №23. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404502098.

კომპანიის მფლობელი და 100% წილის მმართველია აკაკი ახვლედიანი.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორი - გიორგი ჯაშიაშვილი.

2015 წლის 9 ოქტომბრიდან კომპანია ფუნქციონირებდა როგორც შპს „ფერმა მარკეტი“. კომპანიამ დასახელება შეიცვალა 2016 წლის 21 ნოემბერს.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31 დეკ 2019	31 დეკ 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

რადგან 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის (IASB) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისშედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინიხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნინული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორისგაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვები ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანაშრომლის ჩათვლით), მრჩევლის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპრცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტურმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით.მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცხოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო

ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ)კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;

- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;

- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;

- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად.უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორიცაა

დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინაპერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანაგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტვის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებთ განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მისი ექსპლუატაციაში შესვლის მომენტიდან.საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივისათვის - თარიღიდან, როდესაც ის დასრულებულად ითვლება და მზადაა გამოყენებისათვის. ცვეთა გამოითვლებასაწყის ღირებულებასადა საბოლოო ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობით.

ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით აქტივის თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში. ასეთი აღრიცხვა ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივისგან მიმდინარე პერიოდში მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ოდენობას. მიწა არ იცვითება.

გენერაციის ობიექტების ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადაა 25 წელი.

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ)

შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურეობის ვადაა 10 წელი. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურაზე და გაუფასურების ზარალი, რომელიც წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რო დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

შემოსავლის აღიარება

კომპანია აღიარებს საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისადმი გადაცემით მიღებულ შემოსავალს იმ ოდენობით, რომელსაც ის მოელის, რომ მიიღებს მომხმარებლისადმი აღნიშნული საქონლის ან მომსახურების გადაცემის შედეგად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე,დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და სუფთა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით.

მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც

სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწედებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

სესხები

კომპანიას აქვს მიმდინარე სასესხო ვალდებულებები, სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ. კომპანიას ყავს როგორც შტატიანი ასევე შტატგარეშე თანამშრომლები, თუმცა მათი სახელფასო ხარჯები და შენატანები საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში არ განსხვავდება საქართველოს საგადადასახადო კოდექსისი შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს არსებულ ნაღდფულს, დეპოზიტებს ბანკებში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს. ასევე ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის ვადა 90 დღეზე ნაკლებია. საბანკო ოვერდრაფტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა ვალდებულებების სახით.

ბანკში განთავსებული სამ თვეზე მეტი დაფარვის თარიღის მქონე დეპოზიტები გამოკლებულია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლიდან და ნაჩვენებია ცალკე, ამორტიზირებული ღირებულებით.

შემოსავალი

ჩვეულებრივი საქმიანობის შედეგად მისაღები საქონლის და მომსახურების საფასური აღირიცხება მიღებული ან მისაღები რეალური ღირებულებით, რასაც შესაძლოა, დააკლდეს სხვადასხვა ტიპის ფასდაკლებები. შემოსავლის აღიარება როგორც წესი ხდება მომხმარებელთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ან საცალო რეალიზაციის შემთხვევაში სასაქონლო ზედნადების გაცემის მომენტში, რომლითაც მფლობელობის რისკები გადასულია მომხმარებელზე, შესაბამისი გადასახადის მიღება სავარაუდოა, შესაძლო ფასდაკლებები იოლად გამოთვლადია, მენეჯმენტის ხანგრძლივი ჩარევა აღარ არის საჭირო და მისაღები შემოსავლის მოცულობა საიმედოდ გამოითვლება.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ხარჯი მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალი
- საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური პროცენტის მეთოდით. სესხის ხარჯები, რომელთა პირდაპირ მიკუთვნება შესაბამისი აქტივის შეძენაზე, შექმნაზე ან აშენებაზე ვერ ხერხდება, აღიარდება მოგება-ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში აღირიცხება კომპანიის ფუნქციურალუტაში, ლარში, გარიგებისდღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით.

ანგარიშგების თარიღისათვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, ლარში, ანგარიშგების დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით. გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ან ხარჯი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისისათვის ლარში ღირებულებასა, დაკორექტირებულს ეფექტური პროცენტით და პერიოდის განმავლობაშიშესასრულებელიგადასახადებით, და უცხოურ ვალუტაში ღირებულებას შორის, რომელიც გადაყვანილია ლარში პერიოდის ბოლოს კურსით.

გადასახადები

მოგების გადასახადი ჩვეულებრივ შედგება მიმდინარე და გადავადებული ნაწილებისაგან. ის აღიარდება მოგება-ზარალში გარდა პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრული შემოსავლებში შესული ნაწილისა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების შედეგად, ვინაიდან კომპანიას არ გაუნაწილებია მოგება 2019 წლის განმავლობაში, ანგარიშგება არ მოიცავს მოგების გადასახადს გარდა შემთხვევებისა როდესაც კომპანია ახორციელებდა მოგების გადასახადათ დასაბეგრ ოპერაციებს განსხვავებულს დივიდენდების განაწილებისაგან.

კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში ასახავს დღგ-ის აქტივს, როგორც მიმდინარე საგადასახადო აქტივს / წინასწარ გადახდილ ხარჯს.

მარაგები

მარაგები აღირიცხება საწყის ღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ღირებულება შორის უმცირესით. მარაგების საწყისი ღირებულება აღირიცხება „პირველად შემოსული პირველად გადის“ პრინციპით და მოიცავს მარაგების შეძენა-შექმნა-გადამუშავებასთან დაკავშირებულ და მათ არსებულ მდებარეობა-მდგომარეობაში მიყვანის ხარჯებს.

წმინდა გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობისას მისაღები გასაყიდი ფასი, რომელსაც აკლდება პროდუქტის დასრულებისა და გაყიდვის ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება შეძენის ღირებულებით, რასაც აკლდება ცვეთა და გაუფასურების დაგროვილი დანაკარგები. დამფუძნებლების მიერ შემოტანილი ძირითადი საშუალებები აღიარდება შეძენის ღირებულებით. 2017 წ. 01 იანვრისათვის ძირითადი საშუალებების ღირებულება განსაზღვრულ იქნა ამ თარიღისათვის მათი რეალური ღირებულებით („მიღებული ღირებულებით“).

შეძენის ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია აქტივის შეძენაზე. კომპანიის მიერ შექმნილი აქტივის ღირებულება მოიცავს მასალების, პირდაპირი ხელფასების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის მუშა მდგომარეობაში მიყვანის, მათი არსებული მდებარეობიდან დაშლა-წამოღების, აღნიშნული მდებარეობის აღდგენის და შეძენისათვის საჭირო სესხის კაპიტალიზირებულ ნაწილს. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი დანადგარის მუშაობისათვის კაპიტალიზირდება, როგორც ამ დანადგარის ნაწილი.

თუ ძირითადი საშუალების ნაწილებს აქვთ სიცოცხლის განსხვავებული ხანგრძლივობა, ისინი აღირიცხება, როგორც ამ ძირითადი საშუალების ცალკეული ნაწილები, ძირითადი კომპონენტები.

ძირითადი საშუალების გაყიდვით მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება მისაღები თანხის შედარებით მის ნარჩენ ღირებულებასთან და შესაბამისად აღიარდება წმინდა მოგება-ზარალად სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯში.

შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯი ემატება მის ნარჩენ ღირებულებას, თუ სავარაუდოა, რომ ნაწილის გამოყენებით მიღებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიას დარჩება და თუ მისი ხარჯი საიმედოდგაზომვადია. შეცვლილი ნაწილის ნარჩენი ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალების ყოველდღიური მომსახურების ხარჯი მოგება-ზარალში ჩამოიწერება.

ცვეთა

ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მისი ექსპლუატაციაში შესვლის მომენტიდან.საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივისათვის - თარიღიდან, როდესაც ის დასრულებულად ითვლება და მზადაა გამოყენებისათვის. ცვეთა გამოითვლებასაწყის ღირებულებასადა საბოლოო ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობით.

ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით აქტივის თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში. ასეთი აღრიცხვა ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივისგან მიმდინარე პერიოდში მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ოდენობას. მიწა არ იცვითება.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის გადახედავს მიდგომებს ცვეთის, სასარგებლო გამოყენების ვადის და საბოლოო ნარჩენი ღირებულების მიმართ. საჭიროების შემთხვევაში კი შეიტანს მათში ცვლილებებს.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს სესხებად და მოთხოვნებად აღრიცხავს.

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსურ ვალდებულებათა კატეგორიაში აღრიცხავს.

არაწარმოებული ფინანსური აქტივები

კომპანია აღრიცხავს სესხებს და მოთხოვნებს მათი წარმოქმნის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების საწყისი აღიარება ხდება იმ გარიგების თარიღით, როდესაც კომპანია გახდა შესაბამისი ხელშეკრულების მხარე.

კომპანია ჩამოწერს ფინანსურ აქტივს, როდესაც ვადა გასდის მის უფლებას აქტივისგანმისაღებფულად ნაკადებზე, ან კომპანია გადასცემს ასეთ ფულად ნაკადებს ხელშეკრულებით, რომლითაც შესაბამისი აქტივის ფლობის რისკები და სარგებელი თითქმის სრულად გადაეცემა სხვა მხარეს. გადაცემული აქტივის ნებისმიერი ნარჩენი სარგებელი აღირიცხება, როგორც ცალკე აქტივი ან ვალდებულება.

კომპანია ჩამოწერს ფინანსურ ვალდებულებას, მაშინ როდესაც შესაბამისი სახელშეკრულებო ვალდებულება შესრულდა, გაუქმდა ან ვადა გაუვიდა.

ფინანსური აქტივისა და ვალდებულების განაშთვით აღიარება და შესაბამისი წმინდა ნარჩენი ღირებულების ფინანსური მდგომარეობის უწყისში ასახვა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესა ცკომპანიას აქვს იურიდიული უფლება, რომ ჩაითვალოს აღიარებული მოცულობა და აპირებს მისი წმინდა ღირებულებით გამოყენებას, ან აპირებს ერთდროულად გაყიდოს აქტივი და შეასრულოს ვალდებულება.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები ფიქსირებული ან წინასწარგანსაზღვრული გადახდების მქონე ისეთი ფინანსური აქტივების კატეგორიაა, რომლებიც მოქმედ ბაზარზე არ გვხვდება, ან ინფორმაცია მათ შესახებ არ არის საჯარო. ასეთი აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების ღირებულებით. საწყისი აღიარების შემდეგ ეს აქტივები შეფასდება ამორტიზებული ხარჯით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით და მცირდება გაუფასურების ნებისმიერი ზარალით.

სესხებისა და მოთხოვნების კატეგორია მოიცავს გაცემულ მოკლევადიან სესხებს,მიწოდებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს და ფულსა და მის ექვივალენტებს.

არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

კომპანია აკლასიფიცირებს არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსურ ვალდებულებებში.ასეთი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და მცირდება ნებისმიერ, ტრანზაქციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯით. საწყისი აღიარების შემდეგ ეს ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ხარჯით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს/კრედიტებს და მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შეთანხმებულია დამფუძნებელთან და კლასიფიცირდება კაპიტალად. ის 500 000 ლარს შეადგენს და იცვლება პერიოდულად, საწყისი კაპიტალის გაზრდის/შემცირების შესაბამისად, როდესაც ასეთი მოხდება.

საწესდებო კაპიტალის შემცირება

საწესდებო კაპიტალის შემცირება ან აქტივების არაფულადი განაწილება აღიარდება განაწილებული აქტივის ნარჩენი საბალანსო ღირებულებით.

გაუფასურება

არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა დადგინდეს, არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ იგი გაუფასურებულია. ფინანსური აქტივი ითვლება გაუფასურებულად, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ დადგა ზარალის გამომწვევი შემთხვევა და მას ჰქონდა საიმედოდ შეფასებადი უარყოფითი გავლენა აქტივის მომავალ ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება მოიცავდეს:

- მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ან მისი გაკოტრება;

- კომპანიის მიერ მისაღები თანხის რესტრუქტურიზაცია;
- მინიშნება, რომ მოვალე მალე გაკოტრდება;
- მონაცემების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ, რომ არსებობს ფინანსური აქტივების ჯგუფში

არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების, გარდა მარაგებისა, ნარჩენი საბალანსო ღირებულებების გადახედვა ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა დადგინდეს, არის თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი ნიშნის არსებობისას შეფასდება აქტივის ამოღებადი თანხა. გაუფასურების დანაკარგის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ნაღდი ფულის წარმომქმნელი ერთეულის ნარჩენი საბალანსო ღირებულება აღემატება აქტივის სავარაუდო ამოღებად ღირებულებას.

გაუფასურების ტესტირების მიზნით აქტივები, რომელთა ტესტირება სათითაოდ შეუძლებელია, ჯგუფდება აქტივების ისეთ ყველაზე მცირე ჯგუფში, რომელიც გამოიმუშავებს ნაღდ ფულს ხანგრძლივი გამოყენებისას და რომელიც სხვა აქტივების მიერ გამომუშავებული ფულისგან ძირითადად დამოუკიდებელია.

აქტივის ან ნაღდი ფულის გენერირების წყაროს ამოღებადი თანხა უდიდესია მის არსებულ და რეალურ ღირებულებებს შორის, დაკლებული გაყიდვის ხარჯები. არსებული ღირებულება გამოითვლება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე კოეფიციენტით, რომელიც ითვალისწინებს ფულის დროითი ღირებულების და აქტივის სპეციფიკური რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებას.

არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს არამატერიალური აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ფასს 16 - ფინანსური იჯარა

ფასს 16, „ფინანსური იჯარა“ (გამოიცა 2016 წლის 13 იანვარს და ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარს). კომპანიამ სტანდარტის გამოყენება მისი სავალდებულო მიღების დღიდან, 2019 წლის 1 იანვრიდან გადაწყვიტა, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, შესადარისი ბალანსების გადაფასების გარეშე და სტანდარტით დაშვებული გარკვეული გამარტივების გამოყენებით. იჯარით აღებული აქტივების გამოყენების უფლება ფასდება სტანდარტის მიღების თარიღში არსებული იჯარის ვალდებულების თანხით (დაკორექტირებული ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დარიცხული დანახარჯებით).

ფასს 16-ის მიღებისას, კომპანიამ გამოიყენა შემდეგი პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა

(გამარტივებული მიდგომა), რომელიც დაშვებულია სტანდარტით:

- გონივრულად მსგავსი მახასიათებლების საიჯარო პორტფელის ერთჯერადი დისკონტირების განაკვეთის გამოყენება,
- დაყრდნობა მანამდე განხორციელებულ შეფასებებზე იმის შესახებ, იჯარები წამგებიანია თუ არა, როგორც გაუფასურების მიმოხილვის შესრულების ალტერნატივა-2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, წამგებიან ხელშეკრულებებს ადგილი არ ჰქონიათ.
- რეტროსპექტიული ხედვის გამოყენება იჯარის იმ ვადების განსაზღვრისას, სადაც ხელშეკრულება მოიცავს იჯარის გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობას.

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები კომპანიისთვის ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიაზე:

- ფაისკ 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით “
- ცვლილებები ფასს 9-ში - „ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით “
- ცვლილებები ასს 28-ში “გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში”
- ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ასს 12-სა და ასს 23-ში - ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 ციკლი
- ცვლილებები ასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება “.

5. გრძელვადიანი აქტივები

ამორტიზირებადი ძირითადი საშუალებები	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ფინანსური იჯარა	არამატერიალური აქტივები	სულ
ბალანსი 31-დეკ-2018	**4,754,866**	**865,249**	**5,042,977**	**435,055**	**91,474**	**-**	**117,267**	**11,306,888**
შეძენა	2,198,223	286,914	6,970,900	518,504	494,049	10,199,878	127,455	20,795,923
გასვლა	(20,880)	-	(991,624)	-	-	-	-	(1,012,504)
ბალანსი 31-დეკ-2019	**6,932,209**	**1,152,163**	**11,022,253**	**953,559**	**585,523**	**10,199,878**	**244,722**	**31,090,307**
აკუმულირებული ამორტიზაცია 31-დეკ-2018	**(100,889)**	**(252,977)**	**(1,369,641)**	**(126,287)**	**(644)**	**-**	**(28,566)**	**(1,879,004)**
ამორტიზაციის ხარჯი	(118,754)	(189,852)	(1,599,159)	(131,316)	(69,372)	(509,994)	(24,843)	(2,643,290)
ამორტიზაცია გასულ აქტივებზე	-	-	166,904	-	-	-	-	166,904
აკუმულირებული ამორტიზაცია 31-დეკ-2019	**(219,643)**	**(442,829)**	**(2,801,896)**	**(257,603)**	**(70,016)**	**(509,994)**	**(53,409)**	**(4,355,390)**
ნარჩენი ღირებულება 31-დეკ-2018	**4,653,977**	**612,272**	**3,673,336**	**308,768**	**90,830**	**-**	**88,701**	**9,427,884**
ნარჩენი ღირებულება 31-დეკ-2019	**6,712,566**	**709,334**	**8,220,357**	**695,956**	**515,507**	**9,689,884**	**191,313**	**26,734,917**

ფინანსური იჯარის სვეტში ნაჩვენებია „აგრო ჰაბ“ ვაკის მაღაზიის იჯარის დისკონტირებული ღირებულება IFRS 16-ის მოთხოვნების მიხედვით.

არაამორტიზირებადი ძირითადი საშუალებები	**მიწის ნაკვეთები**	**დაუმთავრებელი მშენებლობა**	**ბიოლოგიური აქტივი**	**სულ**
ნარჩენი ღირებულება 31-დეკ-2018	**6,652,978**	**1,695**	**105,504**	**6,760,177**
შეძენა	**6,000,806**	**-**	**502,822**	6,503,628
გასვლა	**-**	**-**	**(526,876)**	(526,876)
ნარჩენი ღირებულება 31-დეკ-2019	**12,653,784**	**1,695**	**81,450**	**12,736,929**
სულ გრძელვადიანი აქტივები 31-დეკ-2018				**16,188,061**
სულ გრძელვადიანი აქტივები 31-დეკ-2019				**39,471,847**

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	**31-დეკ- 2019**	**31-დეკ- 2018**
საქონელი	6,288,890	3,680,698
ნედლეული და მასალები	1,252,378	575,721
ტარა შესაფუთი მასალები	424,805	408,440
დაუმთავრებელი წარმოება	184,997	67,759
მზა პროდუქცია	115,159	129,905
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	71,104	42,758
სასაქონლო მატერიალური მარაგები	**8,337,332**	**4,905,281**

საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიას ფლობს გასაყიდად გამიზნულ მარაგებს. კომპანიის ბალანსში აღიარებული მარაგების უდიდეს ნაწილს საქონელი შეადგენს. მარაგების აღრიცხვა ხდება თვითღირებულების მეთოდით. რომელიც გულისხმობს შესყიდვის ფასს და დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	**31-დეკ- 2019**	**31-დეკ- 2018**
ინვენტარიზაციის შედეგად აღიარებული მოთხოვნები	2 271 301	753 526
სავაჭრო მოთხოვნები	1 111 353	643 534
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1 105 242	334 240
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ-სათაო ოფისი	356 113	286 164
საიჯარო მოთხოვნები	99 427	19 331
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	-	278 038
სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	**4 943 437**	**2 314 832**

სავაჭრო მოთხოვნები მიმდინარეა და არ შეიცავს ხანდაზმულ დებიტორებს, ამიტომ კომპანიის მენეჯმენტის რწმენით სავაჭრო მოთხოვნების აღიარებულ ოდენობასა და მათ სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობა არ არის.

8. წინასწარ გადახდილი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო კოდექსზე დაყრდნობით შესაძლებელია კომპანიამ განაცალკევოს გადახდილი და გადასახდელი გადასახადები როგორც მოცემულია ცხრილში:

წინასწარ გადახდილი ხარჯები	**31-დეკ- 2019**	**31-დეკ- 2018**
გადახდილი დღგ	16,781,240	7,896,915
ქონების გადასახადები	96,496	135,584
სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები	79,879	79,879
გადასახდელი მოგების გადასახადი	116,196	11,362
გადასახდელი აქციზი	18,670	7,319
საპენსიო უზრუნველყოფის ანარიცხი	(65)	-
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(37,458)	(3,512)
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	(879,886)	(526,031)
გადასახდელი დღგ	(15,725,711)	(7,149,263)
სულ წინასწარ გადახდილი ხარჯები	**449,361**	**452,254**

9. გაცემული მოკლევადიანი სესხები

კომპანიას აქვს გაცემული მოკლევადიანი სესხები შპს ქართულ პროდუქტზე. ამასთანავე აქვს დაფიქსირებული ამ სესხებთან დაკავშირებული მისაღები პროცენტები

გაცემული სესხები	**31-დეკ- 2019**	**31-დეკ- 2018**
შპს მზიური	1,000,000	-
შპს ქართული პროდუქტი	282,000	282,000
მისაღები პროცენტები	73,678	63,319
ჯავშანი ვი-თი-ბი ბანკი	-	2,761,803
სულ გაცემული სესხები	**1,355,678**	**3,107,122**

10. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ექვივალენტები	**31-დეკ- 2019**	**31-დეკ- 2018**
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	2,059,154	1,130,596
ფული სახვა საბანკო ანგარიშებზე	712,907	274,767
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	355,036	201,710
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	181,582	350,729
სულ ფული და ექვივალენტები	**3,308,679**	**1,957,801**

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

11. მოკლევადიანი ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები	31-დეკ- 2019	31-დეკ- 2018
ვალდებულებები საქონლის და მომსახურების შეძენიდან	12,282,558	5,266,299
საპროცენტო ვალდებულებები	370,233	347,399
მიღებული ავანსები	183,558	4,749
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	151,363	64,330
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**12,987,712**	**5,682,777**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა.

12. მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები

კომპანიას აქვს აღებული რიგი მოკლევადიანი სესხები თავისი ოპერაციების დასაფინასებლად, ესენია:

მოკლევადიანი სესხები	31-დეკ- 2019	31-დეკ- 2018
სს ვი-თი-ბი ბანკი GEL 615.1833950.001-035	593,260	-
სს ვი-თი-ბი ბანკი GEL 615.1833950.001-036	500,000	-
სს ვი-თი-ბი ბანკი GEL 615.1833950.001-037	500,000	-
სესხი სს ვი-თი-ბი ბანკი GEL 615.1833950.001-019 აგრო პროექ	312,579	125,000
სესხი სს ვი-თი-ბი ბანკი USD 615.1833950.001-017	-	2,944,260
სესხი სს ვი-თი-ბი ბანკი GEL 615.1833950.001-025	-	678,000
სესხი სს ვი-თი-ბი ბანკი GEL 615.1833950.001-018	-	669,150
სესხი სს ვი-თი-ბი ბანკი GEL 615.1833950.001-021	-	500,000
სესხი სს ვი-თი-ბი ბანკი GEL 615.1833950.001-022	-	500,000
სესხი აკაკი ახვლედიანი USD	-	214,220
სესხი სს ვი-თი-ბი ბანკი USD 615.1833950.001-020	-	133,830
სულ მოკლევადიანი სესხები	**1,905,839**	**5,764,460**

13. გრძელვადიანი ვალდებულებები

კომპანიის გრძელვადიანი ვალდებულებები ორი მნიშვნელოვანი ნაწილისაგან შედგება. ესნია გრძელვადიანი სესხები და ფინანსური იჯარის ვალდებულება.

გრძელვადიანი სესხები	31-დეკ- 2019	31-დეკ- 2018
სესხი დამფუძნებლისგან GEL	11,075,143	11,884,941
სს ვი-თი-ბი ბანკი 615.1833950.001-027 USD	7,206,650	-
სს ვი-თი-ბი ბანკი 615.1833950.001-032	3,500,000	-
სს ვი-თი-ბი ბანკი 615.1833950.001-040	1,000,000	-
სს ვი-თი-ბი ბანკი 615.1833950.001-033	931,245	-
სს ვი-თი-ბი ბანკი 615.1833950.001-030	716,925	-
სს ვი-თი-ბი ბანკი 615.1833950.001-038	678,000	-
სესხი სს ვი-თი-ბი ბანკი 615.1833950.001-026 USD	522,431	535,320
სს ვი-თი-ბი ბანკი 615.1833950.001-034	143,385	-
სს ვი-თი-ბი ბანკი 615.1833950.001-029 USD	134,996	-
სესხი სს ბაზის ბანკი USD 600 000.00 $	-	1,021,097
სესხი სს ვი-თი-ბი ბანკი 615,1833950,001-001 USD	-	271,093
სულ გრძელვადიანი სესხები	**25,908,776**	**13,712,450**

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები შედგება:

- სამი სესხი სს ვითიბი ბანკისგან, დენომინირებული აშშ დოლარში ხოლო ექვსი ეროვნულ ვალუტაში
- და საბოლოოდ ერთი ლარში დენომინირებული სესხი კომპანიის დამფუძნებლის, აკაკი ახვლედიანისგან

ყველა ზემოთ მოყვანილი სესხები მიმდინარეა და მათ სამართლიან და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არ ფიქსირდება.

რაც შეეხება ფინანსური იჯარის ვალდებულებას, იგი წარმოადგენს „აგრო ჰაბის“ ვაკის მაღაზიის 15 წლიანი იჯარის ვალდებულებას IFRS 16-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური იჯარა	**31-დეკ- 2019**	**31-დეკ- 2018**
ვაკის მაღაზიის საიჯარო ქირის ვალდებულება	10,199,878	-
სულ ფინანსური იჯარა	**10,199,878**	**-**

14. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის დამფუძნებლის მიერ (აკაკი ახვლედიანი) და ფორმირებულია ფულადი შენატანით.

2017 წლის 31 დეკემბრისათვის საწედებო კაპიტალი შეადგენდა 12,384,941 ლარს, აკუმულირებული ზარალი იყო (475,106) ლარი ხოლო გადაფასების რეზერვი შეადგენდა 18,109 ლარს. ამგვარად 2017 წლის 31 დეკემბერს წმინდა კაპიტალი 11,927,944 ლარი იყო.

2018 წლის განმავლობაში მოხდა კაპიტალის გატანა დამფუძნებლის მიერ და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 500,000 ლარი. 2018 წლის წმინდა მოგება იყო 3,721,560 ლარი რამაც გამოიწვიაწლის ბოლოსათვის 3,246,454 გაუნაწილებელი მოგების წარმოქმნა, ასევე გაიზარდა გადაფასების რეზერვი 1,101 ლარით და საბოლოოდ 2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიის წმინდა კაპიტალმა 3,765,664 ლარი შეადგინა.

2019 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილებები არ მომხდარა და 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი 500,000 ლარს შეადგენდა. 2019 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო 3,085,024 ლარის ოდენობის წმინდა მოგება. ამავე დროს მოხდა გადაფასების რეზერვის ზრდა 13,440 ლარით. საბოლოო ჯამში კომპანიის კაპიტალმა 6,864,128 ლარი შეადგინა.

15. შემოსავალი

შემოსავალი რეალიზაციიდან	**წელი 2019**	**წელი 2018**
შემოსავალი რეალიზაციიდან	78,068,377	43,680,238
შემოსავალი მომსახურებიდან	2,654,228	952,109
ინვენტარიზაციის შედეგად აღიარებული შემოსავალი	1,001,510	682,045
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(453,935)	(39,664)
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	**81,270,181**	**45,274,728**

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიამ მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი ოპერაციები. მისი ძირითადი შემოსავლის წყაროს პროდუქციის რეალიზაცია წარმოადგენს. ასევე მნიშვნელოვანია სხვადასხვა მომსახურებები რომლებსაც კომპანია სთავაზობს თავის მომხმარებელს.

შემოსავლის კიდევ ერთ მნიშვნელოვან წყაროს სესხებხე და დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი წარმოადგენს.

საპროცენტო შემოსავალი	**წელი 2019**	**წელი 2018**
საპროცენტო შემოსავალი სს ვი თი ბი ბანკი დეპოზიტი	225,848	260,978
საპროცენტო შემოსავალი შპს მზიური	10,359	-
საპროცენტო შემოსავალი შპს ქართული პროდუქტი	-	21,293
სულ საპროცენტო შემოსავალი	**236,207**	**282,271**

რაც შეეხება არასაოპერაციო შემოსავლებს მათ უდიდეს ნაწილს კონვერტაციების შედეგად მიღებული შემოსავლები და საგრანტო პროგრამებში მიღებული შემოსავლები წარმოადგენს.

არასაოპერაციო შემოსავლები	**წელი 2019**	**წელი 2018**
შემოსავალი კონვერტაციებიდან	723,541	51,974
სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო	143,405	142,212
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	398,104	279,334
შპს აგროჰაბი წარმოება -მურაბები	-	118,770
სულ არასოპერაციო შემოსავლები	**1,265,050**	**592 290**

16. ხარჯები

რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	**წელი 2019**	**წელი 2018**
ნედლეული და მასალები	58,154,014	32,502,897
პირდაპირი ხელფასი	6,849,682	3,214,273
მიწოდების ხარჯები	1,705,905	958,163
საწარმოო ზედნადები ხარჯები	4,141,906	178,843
რეკლამის ხარჯები	-	93,594
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	**70,851,507**	**36,947,770**

თვითღირებულების უდიდეს ნაწილს ნედლეულისა და მასალების ხარჯი შეადგენს. ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა პირდაპირი ხელფასის დანახარჯიც, რაც გამოწვეულია კომპანიის მასშტაბების ზრდით.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ხელფასის და ამორტიზაციის ხარჯები.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**წელი 2019**	**წელი 2018**
ცვეთა და ამორტიზაცია	2,504,372	1,033,810
შრომის ანაზღაურება	2,169,689	1,472,136
საწვავის ხარჯი	322,287	173,895
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	253,966	65,062
მოვლა პატრონობის ხარჯები	159,200	95,999
საგადასახადო ხარჯი	135,991	-
რეკლამის ხარჯები	127,465	-
მივლინების ხარჯი	76,253	37,778
კომუნიკაციის ხარჯები	42,863	23,363
კომუნალური ხარჯები	35,730	545,271
საკონსულტაციო ხარჯი	23,915	15,100
საკანცელარიო ხარჯები	18,554	9,191
დაცვის ხარჯები	7,949	5,459
მარკეტინგული ხარჯები	6,920	12,284
სამეურნეო ხარჯი	-	470,629
იჯარის ხარჯი	-	92,859
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**5,885,153**	**4,052,837**

გასათვალისწინებელია ის გარემოება რომ, 2019 წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა სასესხო ვალდებულებები ამგვარად მისი ფინანსური ხარჯები შედგება როგორც ბანკის საკომისიოსაგან ასევე საპროცენტო ხარჯებისაგან.

ფინანსური ხარჯები	**31-დეკ- 2019**	**წელი 2018**
საპროცენტო ხარჯები	1,061,051	535,286

ბანკის მომსახურების ხარჯი	713,886	403,015
სულ ფინანსური ხარჯები	**1,774,937**	**938,301**

17. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას და ამავე დროს, ეს კანონმდებლობა ხშირი ცვლილებების საგანია. აღნიშნული კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს ან არასწორად იქნას მიჩნეული შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო ხისტად დაიცავენ კანონმდებლობის მოთხოვნების საკუთარ ინტერპრეტაციას. შედეგად, შესაძლოა დარიცხულ იქნას მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. თუმცა, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მათ მიერ გამოყენებული საგადასახადო ინტერპრეტაციები გონივრული, სამართლიანი და სწორია და კომპანია არ დგას დამატებითი გადასახადებისა თუ ჯარიმების დარიცხვის რისკის წინაშე.

18. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომმოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივებისდა ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში,ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორისცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარებანაკლებად მოსალოდნელიაცვლილებები ზოგიერთკოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიისფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული

თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

19. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითიგაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოდ წარმოდგენილიშეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 - ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

(a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტორლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.

(c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია(ა) ან (დ)-ში;

(f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

(g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშომელბისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიას აქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან. პირველ რიგში ეს ეხება სესხებს მიღებულს დამუძნებლისაგან:

დამფუძნებლისგან მიღებული სესხები	**31-დეკ- 2019**	**31-დეკ- 2018**
გრძელვადიანი სესხი დამფუძნებლისგან GEL	11,075,143	11,884,941
მოკლევადიანი სესხი დამფუძნებლისგან USD	-	214,220
სულ დამფუძნებლისგან მიღებული სესხები	**11,075,143**	**12,099,161**

კომპანიას ასევე აქვს სავაჭრო ურთიერთობები დაკავშირებულ კომპანიებთან, რომელთაც იგი აწოდებს საკუთარ პროდუქციას და ასევე ყიდულობს მათგან ნედლეულსა და მასალებს.

სავაჭრო მოთხოვნები	**31-დეკ- 2019**	**31-დეკ- 2018**
შპს ზუ-კა	8,722	25,261
შპს მზიური	7,146	2,222
შპს ბერნი	-	48,562
შპს ჯისი	-	
სულ სავაჭრო მოთხოვნები	**15,867**	**76,045**

კომპანიას აქვს გაცემული მოკლევადიანი სესხი შპს „მზიურზე“, რომელიც წამოადგენს დაკავშირებულ მხარეს, რადგან მათ ჰყავთ ერთიდაიგივე დამფუძნებელი.

დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	**31-დეკ- 2019**	**31-დეკ- 2018**
შპს მზიური	1 000 000	-
სულ დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხები	**1 000 000**	**-**

მოკლევადიანი ვალდებულებები	**31-დეკ- 2019**	**31-დეკ- 2018**
შპს მზიური	522,383	175,707
შპს ზუ-კა	494	5,000
შპს ჯისი	9	
შპს ბერნი	-	49,923
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**522,886**	**230,631**

დამფუძნებლისათვის ხელფასის სახით გადახდილი თანხები	**წელი 2019**	**წელი 2018**
დამფუძნებელი	32,006	112,635
ჯამი	**32,006**	**112,635**

21. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა საწარმოს უწყვეტობის პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას კომპანიის ფუნქციონირების ნორმალურ პირობებში.

საანგარიშგებო პერიოდების განმავლობაში კომპანიის რაელიზაცია მკვეთრად გაიზარდა და ასევე გაიზარდა კომპანიის მიერ მიღებული მოგებაც. ამ გარემოების გათვალისწინებით მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანია ახლო მომავალშიც განაგრძობს თავის საქმიანობას და არ არსებობს რაიმე პირობა ან გარემოება რომელიც ხელს შეუშლის კომპანიის ფუნქციონირებას ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2020 წლის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით გავრცელდა ვირუსი Covid-19, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტის თარიღისთვის პანდემიად იქნა მიჩნეული. აღნიშნული კრიტიკული სიტუაციის სამართავად საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 21 მარტს მიიღო გადაწყვეტილება ქვეყანაში გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა. COVID-19-ის შემდგომი გავრცელება საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, სავარაუდოდ, უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკაზე, თუმცა ჯერ ნაადრევია კომპანიის საქმიანობაზე მისი შესაძლო გავლენის სრულად გააზრება. კომპანია კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებას ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ დამდგარ, არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს.

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 16 დეკემბერს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

აგროჰაბი

მმართველობის ანგარიშგება

2019 წ.

(საქმიანობის მიმოხილვა)

მომზადებულია ფირმის მენეჯმენტის მიერ

Russell Bedford
taking you further

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს "აგროჰაბი" -ს მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „აგროჰაბი"-ს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. ანგარიშგება მოიცავს შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"-ს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"-ს მენეჯმენტი სრულადაა პასუხისმგებელი ამ კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისათვის წარდგენაზე დადგენილი წესის შესაბამისად.

შპს რასელ ბედფორდ ეიეისი"-მ ჩაატარა წინამდებარე მმართველობის ანგარიშგების შემოწმება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტის შედეგებს და მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებს, ძირითად რისკებს და გაურკვევლობებს.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მოქმედი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისია და თანხვედრილია კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან. ანგარიშგება სათანადოდ წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის, მდგომარეობისა და მომავალი განვითარების შესაძლებლობებისა და რისკების შესახებ ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

მმართველობის ანგარიშგების შემოწმება განხორციელდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონისა და კანონქვემდებარე აქტების, სახელმძღვანელოებისა და რეკომენდაციების მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის" შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული მარწმუნებელი მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი,

ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილი

2020 წლის 16 დეკემბერი

შპს რასელ ბედფორდ ეიეისი
RUSSELL BEDFORD AAC LTD
205236840

ა) საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

ა.1. საზოგადოების განვითარების გეგმა

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს:

საცალო ვაჭრობა,
კვების მრეწველობა
ფერმერული მეურნეობა

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

- საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი
- საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი
- საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
- საქართველოს კანონი სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;

სარეალიზაციო საქონლის ასორტიმენტი მოიცავს როგორც ტრადიციულ სამარკეტე პროდუქტს, ასევე აგრარულ და საკუთარი წარმოების საკვებ პროდუქციას

განვითარებისთვის უახლოეს ორი წლის მანძილზე ორი ძირითადი მიზანია ორი კვლავ ჰიპერმარკეტის ტიპის ახალი სავაჭრო ობიექტის გახსნა, გარდა ამისა კომპანია აქტიურად ითვისებს კეიტერინგის სეგმენტს.

შესაბამისად მიგვაჩნია, რომ კომპანიის შემოსავლები მომდევნო ორი წლის განმავლობაში მინიმუმ გაორმაგდება

ბ. 1 კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ამ მიმართულებით საანგარიშგებო პერიოდში რაიმე სერიოზული კვლევა არ ჩატარებულა.

გ. 1 საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

	31/12/18	31/12/19	% წინა წელთან შედარებით
მიმდინარე აქტივები	12,737,290	18,394,487	44%
გრძელვადიანი აქტივები	*16,188,061*	*39,471,847*	*144%*
სულ აქტივები	28,925,351	57,866,334	100%
მიმდინარე ვალდებულებები	11,447,237	14,893,552	30%
გრძელვადიანი ვალდებულებები	13,712,450	36,108,654	163%
მოგება/ ზარალი	3,721,560	3,085,024	-17%
სულ კაპიტალი	3,765,664	6,864,128	82%
შემოსავალი რეალიზაციიდან	45,274,728	81,270,181	80%
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	36,947,770	70,851,507	92%

ბ) ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკებთან დაკავშირებით კომპანიის მენეჯმენტს რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზი ან ფაქტორი მიმდინარე პერიოდისათვის არ გააჩნია.

საძარმოველო შპს "აგროჰაბი" * AGROHUB 404502098 GEORGIA. "AGROHUB" LTD *